

კომუნისტური ალტერნატივა

მ ა ნ ი ფ ე ს ტ ი

I

პრეამბულა

ადამიანის გზა სამყაროში – თავისუფლებისათვის ბრძოლის ტრაექტორიაა. თავისუფლების არა მხოლოდ ჩაგვრისა და ექსპლოატაციისაგან, არამედ თავისუფლების – როგორც უმთავრესი პირობის შემოქმედებითი თვითრეალიზაციის, ჭეშმარიტების ძიების, სიცოცხლით ტკბობისა და უკვდავებისათვის.

და თუ ჩვენც, იმათ კვალად, ვინც ამ ბრძოლის ისტორიას ქმნიდა, ვირწმუნებთ, რომ ამგვარი თავისუფლების სამყარო შესაძლებელია, ხოლო მეორეს მხრივ – ადამიანის თანამედროვე მდგომარეობას შევხედავთ, ცხადი გახდება, რომ ეს პერსპექტივა მხოლოდ ჩვენი უკიდურესი ძალისხმევის, წარმოუდგენელი ტრანსფორმაციების პირობითაა შესაძლებელი.

საკუთარი თავისა და რელობის ამგვარი ტრანსფორმაციის ამოცანა ყველა დროის ადამიანის უპირატესი, შესაძლოა, ერთადერთი მნიშვნელოვანი გამოწვევაა, რომელიც ყველა სხვა მიზანს განაპირობებს.

ამ უზენაეს მიზანზე ორიენტაციით - ვაცნობიერებით, რომ მისი მოახლოება მხოლოდ ყველა ჩვენგანის უშუალო პრაქტიკული ძალისხმევით, კონკრეტულ სადღეისო პრობლემათა გადაჭრის, არსებული პოტენციალისა და შანსების რეალიზების გზით შეგვიძლია - როგორც ადგილობრივ თუ გლობალურ, სადღეისო თუ ხილვად პერსპექტივასთან დაკავშირებულ გამოწვევებზე პასუხის მცდელობას, ჩვენ ვაარსებთ *კომუნისტურ ალტერნატივას*

II

კაპიტალიზმი დღეს - მორიგი კრიზისი თუ დასასრულის დასაწყისი?

დღეისათვის საბოლოოდ დაცხრა საბჭოთა კავშირის დაშლით გამოწვეული ეიფორია, რომლის შინაარსსაც დასავლური პოლიტიკის, ე.წ. 'ვაშინგტონის კონსენსუსისა' და თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის, როგორც ერთადერთი შესაძლებელი, ამდენად – ლამის ღვთაებრივი წესრიგისადმი რწმენა შეადგენდა.

მიმდინარე გლობალური ეკონომიკური კრიზისი მხოლოდ *სიმპტომა*, რომელიც უფრო მნიშვნელოვან, დრამატულ გარემოებაზე - არსებული პოლიტიკური წესრიგის

არქაულობაზე, არაადექვატურობაზე და უსამართლობაზე მიუთითებს. დღეს, როცა სულ უფრო მრავალი ადამიანისათვის ხდება ნათელი მისი ძლევამოსილებისა და უალტერნატივობის რწმენის სიყალბე, ამ წესრიგის ნებისმიერ ფასად შენარჩუნების მცდელობა უდიდეს საფრთხედ და ბოროტებად მიგვაჩნია. ამ სიყალბესთანაა კავშირში ყველა სხვა სოციალური, პოლიტიკური, ეკონომიკური, ეკოლოგიური, კულტურული პრობლემები. წესრიგს, რომელიც დღევანდელი ადამიანის უპირველეს მტერს წარმოადგენს, სახელია *კაპიტალიზმი*.

III

წესრიგი, რომელშიც ვცხოვრობთ - მარადიულია თუ არა იგი?

დღემდე არსებული ვერც ერთი საზოგადოებრივი ფორმაცია, წინასთან შედარებით პროგრესულობის მიუხედავად, საბოლოო ჯამში ვერ ქმნიდა პირობებს ყველა ადამიანის ინტერესთა, ზოგადად ადამიანის, როგორც განვითარებადი არსების სურვილების და მისწრაფებების დაკმაყოფილებისათვის, და დროთა განმავლობაში იქცეოდა არტახებად უმრავლესობისათვის. საზოგადოებრივ ფორმაციათა ევოლუცია ამ – არტახებად ქცეული ძველი წესრიგისაგან განთავისუფლებისა და ადამიანთა ახალი, უფრო მაღალი რიგის, ყოვლისმომცველი და სამართლიანი თანაარსებობის შექმნისათვის ბრძოლის ისტორიაა. არავინ უარყოფს, რომ დღევანდელი წესრიგი პროგრესულია ფეოდალურთან, ისევე, როგორც ეს უკანასკნელი – მონათმფლობელობასთან შედარებით. მაგრამ სწორედ ამ პროცესების კანონზომიერება არა მხოლოდ შესაძლებელს, არამედ აუცილებელს ხდის დღეს არსებული ‘კანონისაგან’ განთავისუფლებასაც, მის მოხსნას უფრო მაღალი რიგის სოციალურ ლოგიკაში

IV

ბურჟუაზია და პროლეტარიატი

კაპიტალიზმად ჩვენ განვსაზღვრავთ დღეისათვის არსებულ სიმბოლურ წესრიგს, როდესაც ქონების, წარმოების საშუალებებისა და რესურსების კონტროლი და გადანაწილება კაპიტალისტთა – სხვათა შრომის ექსპლოატაციით გამდიდრებულ ადამიანთა ინტერესებით ხდება, და რის გამოც მსოფლიო დაყოფილია ისტორიულ პროცესთა მამოძრავებელ ორ ძირითად ურთიერთდაპირისპირებულ კლასად – *ბურჟუაზიად* და *პროლეტარიატად*. *ბურჟუაზია* როგორც უშუალოდ კაპიტალისტები, ასევე მათი დაქირავებული, მოსყიდული ან მანიპულირებადი ის ადამიანები – მთავრობებიდან დაწყებული, ინტელიგენციითა და მომსახურე ფენების ელიტით დამთავრებული, რომლებიც მერკანტილური ინტერესებიდან გამომდინარე, დაინტერესებულნი არიან სწორედ ამ წესრიგის არსებობით, შენარჩუნებით და განგრძობით. ხოლო *პროლეტარიატი* – ესაა რევოლუციური პოტენციალის მატარებელი შრომელთა კლასი – როგორც განვითარებული, ასევე, უმეტესწილად განვითარებადი ქვეყნების, ზოგადად დედამიწის მოსახლეობის დიდი უმრავლესობა, რომელიც, არ ფლობს რა უშუალო კონტროლს საწარმოო საშუალებებზე, იძულებულია ამ წესრიგში თავის გადარჩენის და სიცოცხლის შენარჩუნების გზები ეძებოს და ამისათვის საკუთარი შრომა და მომავლის იმედი ბურჟუაზიის მიერ ნაწყალობე ‘სიკეთეებზე’ ხშირად – მხოლოდ პურსა და ტკივილგამაყუჩებლებზე გაცვალოს.

V

გლობალური კაპიტალიზმი - გამოწვევა ყველასათვის

ამ წესრიგის საბაზისო 'ფასეულობები', *კაპიტალის ლოგიკა* განაპირობებს დღევანდელი რეალობის ყველა – პოლიტიკურ, სოციალურ, კულტურულ, თვით ადამიანთა შორის პირადი ურთიერთობების ასპექტის ხასიათს. ამდენად, დღეისათვის საზოგადოების ნებისმიერი ფენის წარმომადგენელი ყველა ადამიანი ამ ორიდან ერთ-ერთი ჯგუფის ინტერესებზე მუშაობს – სხვაზე მეტს თუ ნაკლებს, პირდაპირ თუ ირიბად, ნებაყოფლობით თუ იძულებით, გაცნობიერებულად თუ გაუცნობიერებლად. ადამიანთა ის ნაწილი, რომელიც ვერ აცნობიერებს საკუთარ ცხოვრებაზე პასუხისმგებლობის აღების აუცილებლობას, ასევე მერყევი ნაწილი, რომელსაც ვერ გადაუწყვეტია – არსებით ცვლილებათა მხარეს დადგეს, თუ თუნდაც მცირედი სიკეთის დაკარგვის შიშით, ბურჟუაზიას მიეგმასნოს ან პასიური დამკვირვებლის პოზიცია აირჩიოს, ასევე, ის, ვინც თავს აპოლიტიკურ ადამიანად აცხადებს, უგულბებლყოფს რა მარტივ ჭეშმარიტებას, რომ *ნებისმიერ პოზიციას*, მათ შორის საკუთარი პოზიციის ქონაზე უარის თქმას – *პოლიტიკური წონა* და *ფასი* აქვს – ცხადია, კაპიტალიზმის ინტერესებზე ასხამს წყალს.

მსოფლიოს საბოლოო პოლარიზება ორ ურთიერთდაპირისპირებულ კლასად ასევე ნიშნავს, სხვათა შორის, რომ ისეთი 'პრობლემა', როგორიცაა 'ერთ ქვეყანაში კომუნიზმის შესაძლებლობის საკითხი', სხვაგვარად – არის თუ არა ამა თუ იმ ქვეყანაში კაპიტალიზმის განვითარების ის დონე, რომელიც სოციალურ რევოლუციას უნდა უძღვოდეს წინ, საერთოდ მოხსნილია. ჩვენ დღეს ერთ სახელში ვცხოვრობთ, ამ სახელში *კაპიტალისტური წესრიგი* ბატონობს, მისი განვითარების ბოლო სტადიაში ვიმყოფებით, და მიუხედავად იმისა, კიდევ რამდენ ხანს გაგრძელდება მისი დომინაცია, იგი გარდუვალად უნდა შეიცვალოს ახალი წესრიგით.

მაგრამ, კვლავ - ამ წესრიგის შეცვლა მიზანმიმართული და მძიმე შრომისა და ბრძოლის გარეშე არ მოხდება. *კაპიტალიზმი* პოზიციებს ნებით არ დათმობს. რამდენადაც არანაირი სოციალური პროექტი აქამდე არ განხორციელებულა და არ განხორციელდება ადამიანთა საკმაო რაოდენობის სათანადო ძალისხმევით გარეშე, ასევე კომუნისტური ტრანსფორმაცია არ განხორციელდება ადამიანთა შეგნებული ბრძოლის გარეშე. თვითდინებაზე მიშვებული *ნებისმიერი* პროცესი მხოლოდ დეგენერაციის, ხრწნის, განადგურებისაკენ მიემართება. ამგვარი ალტერნატივის წარმოდგენა დღეს ძალიან ადვილია – ან ჩვენ თავად მოვკიდებთ ხელს საკუთარი ცხოვრების, აწმყოსა და მომავლის ფორმირებას, ან შიშის, უმეცრების, სიზარმაცისა და სხვა მიზეზებით უმოქმედობის გამო, მივიღებთ *დისტოპიურ* რეალობას – სადაც ჩვენს აწმყოში უკვე არსებული ვითარებიდან გამოდინარე შესაძლებლობათაგან ყველაზე უარესი – უსამართლობა, შიმშილი, სიღატაკე, ავადმყოფობები, ეკოლოგიური კატასტროფები, ომები და ა.შ. რეალიზდება.

VI

ანტიკაპიტალიზმი და მისი ამოცანები

სულ უფრო მეტი ადამიანი აცნობიერებს და იბრძვის არსებული წერივის შესაცვლელად. მზარდი *ანტიკაპიტალისტური* მოძრაობა დღეს ჭრელი და უფორმოა. შესაძლოა ტაქტიკური თვალსაზრისით ეს სიჭრელე მისი ღირსებაა და არა ნაკლი. მაგრამ, თუმცა ყველას ენთუზიაზმით აღავსებს მისი მთავარი ღოზუნგი – *სხვაგვარი სამყარო შესაძლებელია!* – მისი ძალისხმევა ძირითადად ნეგაციაზე, არსებული წესრიგის კრიტიკაზე, კაპიტალიზმის ბოროტებებით გამოწვეულ რისხვაზეა აგებული. არ არსებობს შეთანხმებული, თუნდაც ძალზე ზოგადი აზრი პოზიტიური ალტერნატივის, იმ *ფინალური წერივის* შესახებ, რომლის დანახვაც დღევანდებლობის სიმადლიდან შეგვიძლია. ჩვენი შეთავაზება ამ ძალებისადმი, რომლებთან სოლიდარული თანამშრომლობა გარდაუვალი აუცილებლობაა, სხვა კომუნისტურ მოძრაობებთან ერთად, არის – განვზაღვროთ ეს *ფინალური წესრიგი* – დღეისათვის ხილვადი ყველაზე შორეული პერსპექტივა, სადაც ყველა დღეს არსებული პრობლემის – პოლიტიკური, ეკონომიკური, ეკოლოგიური, გენდერული და ა.შ. – მოგვარების პირობები უნდა განხორციელდეს – როგორც *კომუნიზმი*.

ამდენად, ჩვენი პოლიტიკური ამოცანაა კაპიტალიზმიდან კომუნიზმისაკენ მოძრაობა, მონაწილეობა გლობალური კომუნისტური რევოლუციის მომზადებასა და განხორციელებაში!

სწორედ ამ პერსპექტივამ უნდა განსაზღვროს როგორც ადგილობრივ, ასევე გლობალურ პრობლემებთან მიმართება, როგორც ახლო, ასევე შორეულ პერსპექტივაში, და აგრეთვე ამ პოზიციათა განხორციელების გზები და საშუალებები.

მაგრამ რა არის *კომუნიზმი*?

VII

კომუნიზმი

ცხადია, რაც უფრო შორეულია პერსპექტივა, მით უფრო ზოგადი უნდა იყოს მისი აღწერა. კომუნისტური საზოგადოების ფორმირება მრავალი განსხვავებული აზრის, იდეათა შეჯერებისა, კომპრომისების, კრიტიკისა და გამომგონებლობის პერმანენტული პროცესია. დღეისათვის არ არსებობს კომუნიზმის განხორციელების ზუსტი და დეტალური გეგმა, და ნებისმიერი პროექტი, რომელიც საკუთარ თავს ერთადერთ საყოველთაო და ჭეშმარიტ დოქტრინად აცხადებს, სკეპტიკურ დამოკიდებულებას იმსახურებს. თუმცა არსებობს ზოგადი შტრისები, რომლებიც უეჭველად უნდა ახასიათებდეს *კომუნიზმს*, როგორც წესრიგს, რომელმაც ყველა ადამიანის სამართლიანი, მშვიდობიანი და ღირსეული თანაარსებობა უნდა უზრუნველყოს.

პირველ რიგში, ესაა, ცხადია, *საკუთრების ფორმა*. დღეს, კაპიტალიზმის პირობებში, *კერძო საკუთრება* წესრიგის მარადიულ ქვაკუთხედად ცხადდება, მიუხედავად იმისა, რომ იგი, როგორც ინსტიტუცია, ისტორიული პროდუქტია, რომელიც ადამიანის ევოლუციის გარკვეულ ეტაპზე წარმოიშვა, საბოლოო სახე კაპიტალიზმის

ფორმირების პირობებში მიიღო, და მის (კაპიტალიზმის) შეცვლასთან ერთად კვლავ ისტორიის კუთვნილება გახდება, როგორც განვლილი ეტაპი. კაპიტალიზმს არ გაუცია დამაჯერებელი პასუხი უძველეს შეკითხვაზე – რატომ უნდა იყოს მთელი ქონება, წარმოების საშუალებები და რესურსები ერთი ადამიანის კერძო საკუთრება, თუკი იგი ასობით ან ათასობით სხვა ადამიანის შრომის პროდუქტია, და რატომ უნდა იღებდეს კაპიტალისტი – ის, ვინც სხვათა შრომის ექსპლოატაციით შექმნილი ქონების ღირსს წილს ითვისებს, ყველა შესაძლო სიკეთეს, მაშინ, როცა ამ ქონების უშუალოდ შემქმნელი ადამიანები სწორედ იმდენს იღებენ, რომ შიმშილით არ დაიხოცონ, რომ ხვალ იმავე კაპიტალისტისთვის უფრო მეტი ქონების შექმნა შეეძლოს, რათა არც ზევ დაიხოცონ შიმშილით, ხოლო კაპიტალისტმა კიდევ უფრო მეტი სიკეთით ისარგებლოს, ხოლო მრავალი ადამიანი ამასაც მოკლებული იყოს, იმის გამო, რომ კაპიტალის შექმნას იმაზე ნაკლები ადამიანი სჭირდება, ვიდრე დაიბადა, და ამდენად მავანი – მოსახლეობის ‘ზედმეტ’ ნაწილს ეკუთვნის.

ჩვენ ვკითხულობთ – ხომ არაა შესაძლებელი იმგვარი წესრიგის ფორმირება, სადაც ქონებას, წარმოების საშუალებებს და რესურსებს არა კაპიტალისტის, არამედ საზოგადოების ინტერესები განაგებს, რომლებიც დემოკრატიული პროცედურებით ხორციელდება, და სადაც საზოგადოება:

მეწარმეს, რომელსაც შრომის შემოქმედებითი ორგანიზების ნიჭი აქვს, იმდენს აძლევს, რომ იგი მოტივირებული იყოს ამგვარი შრომისა და მაქსიმალური თვითრეალიზაციისათვის;

ადამიანებს, რომლებიც მზად არიან ამ შრომაში მიიღონ მონაწილეობა – იმდენს, რომ მათ ღირსეული და სრულფასოვანი ადამიანური ცხოვრება შეძლონ;

ხოლო იმათ, ვისაც ამგვარი შრომა არ სურს – იმდენს, რომ ნორმალური არსებობა შეძლონ და შიმშილით ან სიღატაკით გამოწვეული ავადმყოფობებით არ დაიღუპონ.

და ამასთან, ყველას ქონდეს დრო და შესაძლებლობა, იზრუნოს საკუთარი ინტერესებისა და შემოქმედებითი პოტენციალის სრულფასოვანი რეალიზაციისათვის.

ჩვენ, მსოფლიოში დღეს არსებული რესურსების ანალიზის, ამ საკითხზე ჩატარებული მრავალი მეცნიერული კვლევის, მათ საფუძველზე შექმნილი პროექტების საფუძველზე, მიგვაჩნია, რომ პასუხი ამ კითხვაზე დღეს არის – დიახ, შესაძლებელია!

VIII

უტოპია თუ რეალური რეალობის პროექტი?

და თუ ამგვარ პრინციპებზე დაფუძნებული გლობალური წესრიგის სურათის წარმოდგენას შევეცდებით, თავისთავად გამოჩნდება კომუნისტური საზოგადოების სხვა შტრიხები – უკვე დღეს არსებობს ყველა რესურსი, რომელთა სამართლიანი გადანაწილების შემთხვევაში შესაძლებელია არავინ კვდებოდეს შიმშილით და იმ ავადმყოფობებით, რომლებიც მსოფლიოს ყველაზე მდიდარ ნაწილში უკვე აღარავის ახსოვს. ჩვენ – კაცობრიობა – ერთი საზოგადოება ვართ და ყველა ჩვენგანის პასუხისმგებლობაა ჩვენი წვლილი შევიტანოთ იმგვარი რეალობის შექმნაში, სადაც

ყველა, ვინც დაიბადა, უპირობოდ იქნება უზრუნველყოფილი საარსებო მინიმუმით, ე.წ. *საბაზისო შემოსავლით*. დღევანდელ სამყაროში *კერძო საკუთრების* საკრალურობაზე დაფუძნებული ‘ადამიანთა უფლებების’ იდეოლოგია უპირატესად კაპიტალისტის უფლებების დაცვას ემსახურება. თუკი ჩვენ ცნება *ადამიანში* უკლებლივ ყველა ადამიანს ვგულისხმობთ, მაშინ უნდა ვადიაროთ, რომ აუცილებელია პირველ რიგში ყველაზე დაბალ სოციალურ საფეხურზე მდგარ ადამიანთა უფლებების – არა მხოლოდ ჩაგვრისაგან თავისუფლების, არამედ – საბაზისო მოთხოვნილებათა და განვითარების პირობების უზრუნველყოფა. ეს კი დღევანდელისაგან არსებითად განსხვავებულ ეკონომიკურ და პოლიტიკურ ლოგიკას გულისხმობს.

არსებობს კარგად დათვლილი პროგრამები* უახლოესი ეტაპის ამოცანების განსახორციელებლად, მაგალითად ე.წ. *ტობინის გადასახადი*, რომელიც ფინანსური სპეკულაციების მინიმალური დაბეგვრით მრავალი გლობალური პრობლემის მოსაგვარებლად საკმარისი სახსრების მობილიზების შესაძლებლობას იძლევა. ამ პროექტის განხორციელების პრობლემა არა მისი უტოპიურობაა, არამედ კაპიტალისტთა უარი სხვათა ექსპლოატაციით მოხვეჭილი ქონების თუნდაც მცირე ნაწილი გასცენ ადამიანთა კეთილდღეობისათვის, და კორპორაციების მიერ დასმული ან მოსყიდული მთავრობების უუნარობა განახორციელონ ხალხის კეთილდღეობაზე ორიენტირებული პოლიტიკა. დღეს კაპიტალისტი არა მხოლოდ თავისი ნიჭის და შრომის გამო, არამედ უპირატესად სხვათა ექსპლოატაციის ხარჯზე მდიდრდება – იმის გამო, რომ პროდუქციის დასამზადებლად მაგ. ჩინეთში იხდის 10 ცენტს, როდესაც იგივე პროდუქციის დამზადება ამერიკაში 1 დოლარი დაუჯდება. ქონების გადანაწილების პრინციპის ჩანაცვლება კაპიტალისტის პირადი ინტერესების ნაცვლად - დემოკრატიული პროცედურებით მსოფლიო შრომის ბაზარზე ახალი წესრიგის ფორმირებისაკენ უნდა იყოს მიმართული. ‘მესამე მსოფლიოს’ ვალების დაუყოვნებელი და უპირობო ჩამოწერა, ‘ტობინის გადასახადის’ დაწესება, *საბაზისო მინიმუმით* ადამიანთა უზრუნველყოფა და ქონების განაწილების დემოკრატიული პროცედურები მთელ პლანეტაზე შრომის ფასის თანდათანობით გათანაბრებას გამოიწვევს; ეს კი, სხვა ფაქტორებთან ერთად, შესაძლებელის გახდის ადამიანთა გადაადგილებაზე ხელოვნური შეზღუდვების მოხსნას, საბოლოოდ ქვეყნებს შორის საზღვრების გაუქმებას; შედეგად, სხვა მიზეზებთან ერთად, უაზრო გახდება სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის არსებობა, და ეს ვითარება საბოლოოდ მისი სრული ლიკვიდაციით დაგვირგვინდება; არა მხოლოდ ამგვარად გამონთავისუფლებული სახსრები, არამედ საზოგადოებრივ ინტერესებზე დაფუძნებული ეკონომიკა – არა ‘თავისუფალი’ საბაზრო ეკონომიკა, რომელიც მხოლოდ კაპიტალისტის შეუზღუდავ თავისუფლებას გულისხმობს, არამედ რეგულირებადი ეკონომიკა, რომელსაც საზოგადოებრივი ინტერესები წარმართავს – კომუნალური სექტორის რენაციონალიზაცია, კაპიტალის ღირებარებაზე სახელმწიფო კონტროლის დაწესება და სხვ. – საშუალებას მოგვცემს გადავჭრათ მრავალი სასიცოცხლო მნიშვნელობის პრობლემა, მათ შორის – ეკოლოგიური პრობლემები, რათა ჩვენს მომავალ თაობებს იმგვარ გარემოში მოუწიოთ ცხოვრება, რომელშიც საკუთარი თავის რეალიზება არა მხოლოდ საყოველთაოდ შესაძლებელია, არამედ სასიამოვნოც.

IX

სისტემა და ადამიანი

კაპიტალისტური წესრიგის ადამიანის უმთავრეს მტრად გამოცხადებით, იმის გაცნობიერებით, რომ დღეს მსოფლიო ორ ნაწილად – ექსპლოატატორებად და ექსპლოატირებულებად დაყოფილი, ჩვენ არ ვახარისხებთ ადამიანებს *კარგებად* და *ცულებად*. გარემო პირობების, ყოფიერების გავლენით ყველა ადამიანის ხასიათი იმგვარად ფორმირდება, რომ მასში ყოველთვის მოცემულია, თუნდაც მხოლოდ როგორც პოტენციალი, ნეგატიური და პოზიტიური ასპექტები. და სწორედ არსებული წესრიგის უმთავრესი ფასეულობები, ღირებულებათა სისტემა, ადამიანთა მისწრაფების საგნები განაპირობებს, რომელი მათგანი იქნება რეალიზებული. ცხადია, რომ სასაქონლო ფეტიშიზმის საზოგადოებაში, სადაც ფული – ფასეულობათა სისტემის მწვერვალზე დგას, ადამიანები სხვაგვარად ყალიბდებიან, ვიდრე მაშინ, როდესაც მათთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ჭეშმარიტებაზე ორიენტაცია, სიყვარული ან თანაგრძნობაა.

ჩვენი ბრძოლა სისტემის, და არა ადამიანების წინააღმდეგაა მიმართული. იმის განცხადებით, რომ კაპიტალიზმი ბოროტებაა, არ ვამბობთ, რომ კონკრეტული ადამიანი – კაპიტალისტი, უეჭველად ცუდია. მაგრამ ჩვენ ხაზს ვუსვამთ, რომ *კაპიტალიზმი, როგორც წესრიგი*, ადამიანში ყველაზე ნეგატიურ შტრიხებზე – სიცრუეზე, შიშზე, სიხარბეზე, მომხვეჭელობაზე, ეგოიზმზე, სიძულვილზე აპელირებს, როდესაც კომუნიზმი *იმავე* ადამიანში ყველაზე პოზიტიურ თვისებებზე – ჭეშმარიტებისადმი მისწრაფებაზე, გამბედაობაზე, სამართლიანობაზე, ზომიერებაზე, სოლიდარულობაზე, სიყვარულზე აფუძნებს საკუთარ ლეგიტიმურობას. დღეს მსოფლიოს ყველაზე მდიდარი 200 ადამიანის ქონება უტოლდება დედამიწის ყველაზე ღარიბი მოსახლეობის 45%-ის, დაახლოებით 2 700 000 000 ადამიანის ქონებას. გაეროს სტატისტიკის თანახმად, ‘მესამე მსოფლიოში’ ყოველ 15 წამში ერთი ადამიანი, უმეტესწილად, ბავშვი, კვდება დაბინძურებული სასმელი წყლის გამო. ჩვენ გვჯერა, რომ უნდა ვიბრძოლოთ იმგვარი წესრიგის შესაცვლელად, სადაც ადამიანთა მცირე ჯგუფს შეუძლია მოწყვნილობასთან საბრძოლველად და ‘ეგზისტენციალურ პრობლემებთან’ თავის გასართმევად თავისი ისედაც უზარმაზარი საავტომობილო კოლექციის შესავსებად მოოქროვილი ავტომობილი იყიდოს, საკუთარი სახლი იაპონიის იმპერატორის სასახლის ასლად ააგოს, ან მთვარეზე ექსკურსია მოიწყოს მაშინ, როდესაც ამ ფასად მთელ ქვეყნებში შიმშილობის, შიდსის, ნარკომანიის პრობლემის გადაჭრაა შესაძლებელი.

X

წარუმატებლობის ბაკვეთილები - რას გვასწავლის წარსულის გამოცდილება?

მრავალი ადამიანი, განსაკუთრებით ყოფილი *საბჭოთა კავშირის* ქვეყნებში, დაეთანხმებოდა *კომუნიზმის* ორიგინალურ იდეას, თუკი მის შინაარსს შეცვლილი სახელით მივაწვდიდით. ტრაგიკული და მტკივნეული საბჭოთა გამოცდილება აფრთხობს და აშინებს მათ. ამ მიზეზით ბევრმა შემოგვთავაზა დაგვეტოვებინა იგივე შინაარსი, მაგრამ შეგვეცვალა სახელი. ჩვენ ეს გაუმართლებლად მიგვაჩნია რამოდენიმე მიზეზის გამო – თუ სახელის შეცვლაა, ჯობია საბჭოთა სინამდვილეს

დავარქვათ ნამდვილი სახელი – ეს იყო არა ძალისხმევა კომუნიზმისაკენ, არამედ *კომუნიზმის* იდეოლოგიზაციის მეშვეობით ძლაუფლების უზურპაციის პროექტი. არა ერთა *ნებაყოფლობითი* თანამეგობრობა, არამედ ანექსირებული ქვეყნებისთვის თავსმოხვეული *დიქტატურა*. სტალინიზმის არსი არა დემოკრატიული გზით საზოგადოების ტრანსფორმაციაა, არამედ მერკანტილური ზრახვებით მართვადი ბიუროკრატიული ტოტალიტარიზმი. ცნება *კომუნიზმი* და მისი შინაარსი საბჭოთა ხელისუფლებას არ მოუგონია. მრავალი ქვეყნის ხელისუფლება იყენებდა და იყენებს დემოკრატიულ რიტორიკას თავისი ნამდვილი ბინძური ზრახვების შესანიღბად, მაგრამ არავის მოსდის აზრად ამის გამო სიტყვა *დემოკრატია* გამოცვალოს. რელიგიურმა ომებმა, *ფუნდამენტალიზმმა* ერთად აღებულ ყველა სხვა კატასტროფაზე მეტი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, მაგრამ არავის გამოუთქვამს ინიციატივა, მაგალითად, ინკვიზიციის გამო *კათოლიციზმისათვის*, ან ალ-ქაიდას გამო - *ისლამისათვის* რაიმე სხვა სახელი დაერქმიათ. მტკივნეული *გამოცდილება* კი, და არა მარტო კომუნისტური, არამედ სხვაც – ფაშისტური, ბუშისტური.... – უფრო პოზიტიური პოტენციალის შემცველი ფაქტორია იმ გაგებით, რომ იგი საშუალებას არ მოგვცემს ყურადღება მოვადუნოთ, ზერელედ მოვეკიდოთ ცვლილებათა პროექტებს, განსაკუთრებით, მათ უკან მდგომ ადამიანებს. ცნობილი კანონზომიერებაა, რომ ნებისმიერ განხორციელებულ მნიშვნელოვან საზოგადოებრივ ტრანსფორმაციას წინ უძღვის წარუმატებელი მცდელობები. არავინ ამბობს უარს სიარულის სწავლაზე იმის გამო, რომ ყველა წინა ცდაზე დაეცა. პირიქით, სწორედ ეს დაცემები გამოგვიმუშავებს იმ სიფრთხილესა და წინდახედულებას, რომელთა გარეშეც გამართული სიარული შეუძლებელია.

ჩვენ ვაცხადებთ, რომ ვემიჯნებით ‘კომუნიზმის’ სპეციფიურად *საბჭოურ პრაქტიკას* და ყველა იმ მოძრაობას თუ თუნდაც სახეცვლილ იდეოლოგიურ კონსტრუქციას, რომელიც საბჭოთა კავშირიდან ინერციით დღემდე შემორჩა.

XI

შესაძლებლობა ყველასათვის

კომუნიზმზე, როგორც პროექტზე დისკუსიისაკენ მოუწოდებთ ყველა პოლიტიკურ, საზოგადოებრივ, არასამთავრობო ძალას. მიგვაჩნია, რომ ძალზე ძნელია ფინალური წესრიგის, დღეისათვის ხილვადი პერსპექტივის პროექტის გარეშე პოლიტიკურმა პარტიამ თავისი პროგრამა რაციონალურად დააფუძნოს. მაგალითად, როგორი წარმოდგენია მომავლის მსოფლიო მონარქისტს? ყველგან ‘აღდგენილი’ მონარქიებით, თუ დემოკრატიულ ერთა თანამეგობრობად, სადაც აქა იქ შემორჩა არქაული, უსარგებლო და ძვირადღირებული სამეფო ‘ხელისუფლებები’, რომელთაც სინამდვილეში *არანაირი ძალაუფლება* არ გააჩნიათ და ‘*მიცვალებულზე გვირგვინის*’ ‘საპატიო’ ფუნქციას ასრულებენ? რითი ასაბუთებენ ან ერთი, ან მეორე, ან სხვა (რომელი?) პერსპექტივის როგორც შესაძლებლობას, ასევე საჭიროებას? ან, რა წესრიგზეა ორიენტირებული *კონსერვატორი* ან *ტრადიციონალისტი*? განა შეიძლება ნებისმიერი ტრადიციის შენახვა თავისთავად იყოს მიზანი? ყველა ტრადიცია კარგია? ზოგან დღესაცაა შემონახული ‘სისხლის აღების’ ტრადიცია. გვჭირდება იგი? თუ თუნდაც მხოლოდ ამ შემთხვევაში პასუხია – არა – მაშინ ცხადი ხდება, რომ საჭიროა სამომავლო ორიენტირი ტრადიციებისადმი კრიტიკული მიდგომისათვის, რომ თავად სიტყვა *ტრადიციის* ცალსახად პოზიტიური გაგება არასწორია. თუ არ ვიცით როგორი

უნდა იყოს ჩვენი მომავალი სახლი, არ გვეცოდინება რა ნივთები დაგვჭირდება ძველი სახლიდან წასაღებად, არ გვეცოდინება, რა უნდა გადავყაროთ, როგორც ზედმეტი ხარახურა, და რა ახალი ნივთები უნდა შევიძინოთ.

ჩვენ მზად ვართ ვითანამშრომლოთ ყველა რეალურად, და არა სათაურის ან რიტორიკის მიხედვით დემოკრატიულ ძალასთან, და საბოლოო ჯამში, ყველა ძალასთან, თუკი ფინალური წესრიგის ჩვენი ხედვა და პოლიტიკური პრაქტიკის ხასიათი არ გამორიცხავს ერთმანეთს.

XII

პოლიტიკური პრაქტიკა - პრინციპები და მეთოდები

პოლიტიკურ პრაქტიკაში ვგულისხმობთ არა მხოლოდ 'პოლიტიკურ' საქმიანობას ამ სიტყვის ვიწრო პროფესიული გაგებით, არამედ ნებისმიერ აქტიობას, რომელსაც პოლიტიკურ პროცესებზე პირდაპირი თუ ირიბი გავლენის მოხდენის მიზანი ან პოტენციალი აქვს.

ხოლო პოლიტიკური პრაქტიკის უმთავრეს პრინციპებად ვაცხადებთ:

ჭეშმარიტება

ყოველ კონკრეტულ სიტუაციაში ჩვენი მისწრაფება იქნება არა ძლაუფლება, სარგებელი, ან სახელი, არამედ – დისკუსიის, არგუმენტაციის, კრიტიკის და მოქმედების გზით ამ სიტუაციის ჭეშმარიტების – ერთადერთი სწორი პოზიციის – ძიების, დადგენისა და განხორციელების პრინციპი. ბუნებრივად გვეჩვენება, როდესაც ჭეშმარიტების ძიება და სამსახური მეცნიერებისა თუ ხელოვნების უმთავრეს მიზნად ცხადდება. მაგრამ ადამიანთა დიდ ნაწილს მიაჩნია, რომ მას არაფერი ესაქმება პოლიტიკასთან. ცხადია, ამგვარ ყალბ ცნობიერებას სწორედ არსებული წესრიგის საჭეთმყრობელნი – ამკვიდრებენ, რომელთათვისაც ხალხის მიერ სიმართლის ცოდნა დამღუპველი შეიძლება აღმოჩნდეს. ჩვენ ვაცხადებთ, რომ პოლიტიკური აქტიობა ადამიანთა საქმიანობის ისეთივე მაღალი ფორმაა, როგორც მეცნიერება ან ხელოვნება, და რომ ყოველ კონკრეტულ პოლიტიკურ ვითარებაში, კონკრეტულ პრობლემებთან დაკავშირებით სიტუაციის ჭეშმარიტების ძიება, ერთგულება და განხორციელება, მაშინაც კი, თუნდაც იგი ჩვენს პირად შეხედულებებს და ყოფით ინტერესებს ეწინააღმდეგებოდეს, პოლიტიკის მთავარი ორიენტირია.

არაძალადობა

კომუნისტური რევოლუცია გარდაუვალია, მაგრამ ჩვენი ამოცანა და პასუხისმგებლობაა, გავითვალისწინოთ წარსულის ტრაგიკული გამოცდილება, და დავეუფლოთ ბრძოლის თანამედროვე მეთოდებს. გვესმის რა, რომ ის ვინც უსამართლოდ გამდიდრდა, მხოლოდ იმიტომ, რომ სხვაზე ხარბი და დაუნდობელი აღმოჩნდა, ნებაყოფლობით არაფერს დათმობს საზოგადოების სიკეთისათვის, და არ უარვეყოფთ რა ექსპლოატირებული ხალხის აჯანყების უფლებას, მიგვაჩნია, რომ

ბრძოლის გამოცდილება, განსაკუთრებით XX საუკუნეში, ცხადყოფს არაძალადობრივი მეთოდების – დაუმორჩილებლობის, არათანამშრომლობის, გაფიცვის, ბოიკოტის და ა.შ. – არა მხოლოდ უფრო მეტ ეფექტურობას, არამედ ეფექტიანობასაც პერსპექტივასთან მიმართებაში.

სოლიდარობა

ჩვენ არ ვესწრაფით სხვა დემოკრატიულ ძალებთან ერთიანობას ორგანიზაციული და მსოფლმხედველობრივი გაგებით. პირიქით, მიგვაჩნია, რომ, კაპიტალიზმის სიძლიერის და სისასტიკის გათვალისწინებით, ცენტრალიზებული და მკაფიო კონტურების მქონე ძალა უფრო ადვილად მოწყვლადი აღმოჩნდება. ჩვენ ვაცნობიერებთ, რომ მსოფლიოს სხვადასხვა ნაწილში პროლეტარიატის ამოცანები და ბრძოლის პირობები სხვადასხვაგვარია, და ვთვლით, რომ ლოკალური აქტივობებით მრავალი გლობალური პრობლემის მოგვარებისკენ სვლა შეიძლება. მაგრამ ასევე ვხედავთ, რომ არსებობს პრობლემები, რომლებიც ყველასათვის, ან ბევრი ჩვენგანისათვის – საერთოა. ამგვარ საკითხებთან დაკავშირებით საჭიროდ მიგვაჩნია თანამშრომლობა და ერთობლივი პროექტების განხორციელება ყველა იმ ძალასთან, რომელთა პერსპექტივის ხედვა არ გამორიცხავს ჩვენსას. მაგრამ მათი სამართლიანი მოგვარების ლოგიკას საბოლოოდ გლობალური სოციალური რევოლუციის, ამდენად – სათანადო დროს ადამიანთა საკმარისი რაოდენობის შეთანხმებული და სოლიდარული მოქმედების აუცილებლობისაკენ მივყავართ.

განათლება

კომუნისტური რევოლუციის რეალობად ქცევისათვის აუცილებელია განათლებულ ადამიანთა საკმაო რაოდენობის არსებობა. ამდენად, განათლება, და მისი გავრცელება, პოლიტიკური პრაქტიკის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. ჩვენ ვგულისხმობთ არა *განათლების ბურჟუაზიულ* გაგებას, როდესაც სკოლებისა და უნივერსიტეტების, მასმედიისა და პროპაგანდის სხვა საშუალებების მეშვეობით, წესების თავსმოსხვევითა და ინფორმაციით ტვინის ამოვსების გზით, კაპიტალიზმი ადამიანთა ინდოქტრინაციას ახორციელებს, რათა მონების ფართო ასორტიმენტი დაამზადოს – იმგვარი თეორიული, ტექნიკური თუ სხვა სახის 'ცოდნით', ყალბ ფასეულობებზე დაფუძნებულ ყალბი ცნობიერებით აღჭურვილი ადამიანები, რომლებმაც საბოლოოდ არსებული წესრიგის განგრძობა უნდა უზრუნველყონ, არამედ იმგვარ განათლებას, რომელიც ადამიანებს საკუთარ მოწოდებათან, შესაძლებლობებთან, ამოცანებთან მიმართებით *ხედვის* სწორი წერტილის დაკავებაში და მოქმედებისათვის საჭირო თვისებების გამომუშავებაში ეხმარება.

სიმტკიცე

კაპიტალიზმი, რომელიც ყველაზე უხეშ, მატერიალურ, ბიოლოგიურ ინტერესებს, კუჭის 'ფილოსოფიას' ეფუძნება, წარმოუდგენელ სისასტიკეს იჩენს საკუთარი ინტერესებისადმი საფრთხის შემთხვევაში. იგი იყენებს ბრძოლის ყველა, მათ შორის, ე.წ. აკრძალულ მეთოდს – იგნორირებითა და დისკრედიტაციით დაწყებული, ფიზიკური განადგურებით დამთავრებული. ამიტომ, ცხადია, კომუნისტური პერსპექტივის განხორციელებისათვის ბრძოლაში სწრაფ და იოლ წარმატებებს არ უნდა ველოდეთ.

ძალისხმევის დროში განგრძობისათვის ჩვენი აუცილებელი იარაღია მოთმინება და სიმტკიცე.

გამბედაობა

კაპიტალიზმმა არაერთხელ გვიჩვენა თავისი სისასტიკე გენუასა თუ ბაღდადში, კუბასა თუ ნიგერიაში. მიგვაჩნია, რომ ამ სისასტიკის გათვალისწინებით, მაგრამ არა *შიშის საფუძველზე*, არამედ *შიშის მიუხედავად* უნდა ვიმოქმედოთ. არც ერთი მნიშვნელოვანი პროექტი თუ აღმოჩენა არ განხორციელებულა ადამიანის გამბედაობისა და რისკის გარეშე. დასაწყისისთვის, გამბედაობა ჭირდება თვით კომუნისტური პერსპექტივის *წარმოდგენასაც*, ვინაიდან ამგვარი *ხედვა* ურთულესი ამოცანის – საკუთარი მსოფლმხედველობის, *კაპიტალის ლოგიკაზე* დაფუძნებული ფასეულობათა სისტემის და ურთიერთობათა წესების კრიტიკული გადასინჯვისა და, შესაძლოა, ცნობიერების რადიკალური განახლების აუცილებლობის წინაშე გვაყენებს. მხოლოდ ის, ვინც არა მარტო არსებული წესრიგის უსამართლობას და უგუნურებას ხედავს, არამედ უარს ამბობს მისთვის წინასწარ გამზადებული ხვედრისათვის მორჩილებაზე, და მზადაა, თუნდაც მარცხის ალბათობის სიდიდის პირობით, საკუთარი ღირსეული ყოფისაკენ გადადგას ნაბიჯი, შეძლებს მეტი რელურობა შესძინოს თითოეული და ყველა ჩვენგანის ტრანსფორმაციის პროექტს.

XIII

უახლოესი ამოცანები

ამ ეტაპზე ჩვენი მოძრაობის უმთავრესი ამოცანებია: ორგანიზაციის, მოქმედების ეფექტური გზების საკითხებზე შიდა დისკუსიის წარმოება და ამავე დროს *კომუნიზმის*, როგორც იდეისა და პროექტის ჩვენეული გაგების გაცნობა ადამიანთა ფართო წრეებისათვის, განსაკუთრებით, პროლეტარებისათვის; კავშირის დამყარება მსოფლიოს სხვა დემოკრატიულ და კომუნისტურ მოძრაობებთან; ასევე, უახლოეს ხანებში ცალკე ტექსტის – პროგრამის გამოქვეყნება, რომელიშიც საქართველოში სადღეისოდ არსებულ პრობლემატიკის და მათი მოგვარების ჩვენი ხედვა იქნება ასახული.

ჩვენ არ ვესწრაფით მრავალრიცხოვნებას, რადგან გეჯერა, რომ ძალა სიმართლეში უნდა ვეძიოთ და არა რაოდენობაში, მაგრამ ამავე დროს გახსნილნი ვართ ნებისმიერი სახის თანამშრომლობისათვის მათთან, ვინც მზადაა ჩვენი პრინციპები გაიზიაროს.

* მანიფესტის ფორმატი არ იძლევა საშუალებას ვრცლად შევეხოთ ამ პროგრამებს და მის ცალკეულ პუნქტებს, ისეთ საკვანძო ცნებებს, როგორიცაა 'ტობინის გადასახადი', 'საბაზისო შემოსავალი', 'რეგულირებადი ეკონომიკა' და სხვ. ამ პროგრამების ტექსტებს ახლო მომავალში ცალკე გამოვაქვეყნებთ.